

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა:

დემოკრატიის მხარდაჭერა საქართველოსა და უკრაინაში

ალექსანდრე გვარჯალაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპის მცონეობა, კავკასიის
კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე გვარჯალაძე _____ 23.12.2013

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს დემოკრატიის მხარდაჭერისას გარე აქტორის ქმედებების გავლენის შეფასებას. ნაშრომი წარმოადგენს კვლევით პროექტს. კვლევას საფუძვლად უდევს ჰიპოთეზა: **დემოკრატიის მხარდაჭერისას გარე აქტორის პოლიტიკური ინტერესები მნიშვნელოვანად ზრდის დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებით გატარების ალბათობას.** დემოკრატიის მხარდამჭერ აქტორად ნაშრომში განხილულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკა. გარე აქტორის ქმედებების გავლენა შესწავლილია ორი ქეისის - საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ისტორიული კონტექსტი და დემოკრატიის მხარდაჭერის მნიშვნელობა საერთაშორისო პოლიტიკაში. შემდგომ ნაწილში მოცემულია ნაშრომის თეორიული კონტექსტი და შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა. ნაშრომის მესამე ნაწილში მოცემულია კვლევის მეთოდოლოგია, რის შემდეგაც აღწერილია კვლევის შედეგები. ნაშრომის ბოლო ნაწილში კვლევის შედეგების მიხედვით ხდება ჰიპოთეზის გადამოწმება და მოცემულია დასკვნა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დემოკრატია, დემოკრატიზაცია, დემოკრატიის მხარდაჭერა, საქართველო, უკრაინა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა.

Abstract

The following paper sets out to analyse the impact of democracy promotion by an external actor. The following work is a research paper. The central hypothesis of the research is that: **political interests of an external actor have a positive impact on the probability of successful outcome of democracy promotion measures.** The impact of European Neighbourhood Policy, as an external actor, on democracy in Georgia and Ukraine is analysed through the research.

In the introduction the historical context and the importance of democracy promotion in modern international politics is reviewed. The next part of the paper the theoretical context is presented and relevant literature is reviewed. The third section will deal with methodology of the research and results of the research are presented in the next section. Conclusion is presented in the last part of the paper.

Key Words: Democracy, Democratisation, Democracy Promotion, European Neighbourhood Policy, Georgia, Ukraine.